

განათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული ცენტრი  
თბილისი, 2011 წელი, 19 მაისი

„პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამების შემუშავება პროფესიული  
სტანდარტების შესაბამისად“

# პროფესიული განათლების მიღების უფლება:

- პირს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება.
- პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

# პროფესიული განათლების საფეხურები:

- პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს, რომლებიც განისაზღვრება სწავლის შედეგების შესაბამისად:
- ა) I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;
- ბ) II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;
- გ) III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;
- დ) IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;
- ე) V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

# პროფესიული განათლების საფეხურის განსაზღვრა:

კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით, რომელიც მოიცავს ხუთი საფეხურიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას.

## პროფესიული სტანდარტი:

დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.

## პროფესიული სტანდარტის შემუშავება:

- პროფესიული სტანდარტი მტკიცდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით;
- პროფესიული სტანდარტის პროექტის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

# პროფესიული სტანდარტის დამტკიცების პროცედურა:

- დარგის სპეციალისტები, დამსაქმებლები, სხვა დაინტერესებული პირები, შეიმუშავენ პროფესიული სტანდარტის პროექტს;
- პროფესიული სტანდარტის პროექტი თავსდება ცენტრის ვებგვერდზე საჯარო განხილვისათვის;
- ცენტრში გროვდება დაინტერესებული პირებისა და დამსაქმებლების რეკომენდაციები;
- გამოიცემა ცენტრის დირექტორის ბრძანება პროფესიული სტანდარტის დამტკიცების თაობაზე.

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაამტკიცა 200-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი:

- 2010 წლის 31 დეკემბერი (107 სტანდარტი);
- 2011 წლის 28-31 იანვარი (88 სტანდარტი);
- 2011 წლის 5 აპრილი (5 სტანდარტი).

## პროფესიული სტანდარტის შინაარსი:

- სფეროს აღწერა;
- დასაქმების სფერო;
- დამატებითი მოთხოვნები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია;  
(თითოეული საფეხურის მიხედვით, კრედიტების მინიმალური ოდენობისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მითითებით)
- სწავლის შედეგები:
  - ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები;
  - (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები)

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა:

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის სტანდარტი“  
საქართველოს კანონის შესაბამისად,  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის  
შექმნის საფუძველია პროფესიული  
სტანდარტი.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდირებული სტრუქტურა:

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
- პროფესიული განათლების საფეხური;
- მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია;
- პროგრამის მოცულობა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- პროფესიული პროგრამის მიზანი;
- სწავლის შედეგი;
- სწავლის შედეგების რუქა;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა);
- პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება;
- სწავლების მეთოდები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ;
- სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი დოკუმენტები:

- „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანება;
- „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №8/ნ ბრძანება;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №9/ნ ბრძანება;
- კონკრეტული პროფესიული სტანდარტი.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა:

- დაწესებულებას აქვს უფლება, განახორციელოს ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზეც დაწესებულებამ თანხმობა მიიღო:
- ავტორიზაციისას;
- აკრედიტაციისას;
- თვითშეფასების ანგარიშშის წარმოდგენისას.

გმადლობთ ყურადღებისთვის